კვირა, 16 იანვარი 1905 წ.

წელიწადი 1877—1905 ოცდა-მეცხრე

კვირა, 16 იანვარი 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12 თვით	. .	10 მ.	— კ.
11 „	. .	9 „	50 „
10 „	. .	8 „	75 „
9 „	. .	8 „	— „
8 „	. .	7 „	25 „
7 „	. .	6 „	50 „
6 „	. .	6 „	— „
5 „	. .	5 „	50 „
4 „	. .	4 „	75 „
3 „	. .	3 „	50 „
2 „	. .	2 „	75 „
1 „	. .	1 „	50 „

ივერია

№ 11 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 11

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვ ს 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

საჯარო ბიბლიოთეკა

„ივერიის გამომცემელ ამხანაგობისაგან“.

„ივერიის“ გამომცემელი ამხანაგობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1905 წ. 23 იანვარს, დილის 11 საათზედ, ქ. ტფილისში დანიშნულია მხანაგობის საზოგადო კრება, ზუბალაშვილების სახლებში, გოლოვინის როსპექტზედ, არტისტიულ საზოგადოების პირდაპირ.

კრებამ უნდა დაამტკიცოს ამხანაგობის გამგეობის დადგენილება აზ. „ივერიის“ გადაცემის შესახებ.

თავადნი: კონსტანტინე გიორგის ძე ამილახვარი მძისწულითურთ და დავით დიმიტრის ძე ციციშვილი უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა პატივი სცენ და მობრძანდნენ სოფელ ოთარშენს 18 იანვარს, დილის ათ საათზედ, განსვენებულის ძვირფასის

კნეინა ელენე დიმიტრი ციციშვილის ასულის ამილახვრის

დაკრძალვაზედ, ოთარშენის სასახლის ეკკლესიიდგან, საიდგანაც წაასვენებენ დასაკრძალავად სოფელ ტინისხიდში, საგვარეულო სამარხში.

(2—1).

ახალი განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით.

„ივერია“

ცალკე ნომერი 3 კაპეიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული: იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტიური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე **სურათები** და სხვა-და-სხვა **ილიუსტრაციები**.

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი 10 მან. შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

კვირას 16 იანვარს, წარმოდგენილი იქმნება უკანასკნელად „**ბოკაჩჩიო**“, კომიკური ოპე-
ა 3 მოქმ., მუსიკა ზუპესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დიმიტრიევა-პოსაკოვსკისა, შიხუცკაია-მინჩენკო; ბ-ნნი:
გდანოვიჩი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, სპერანსკი და მურაჯოვი. ბალეტს განაგებს
იოვასსი. პრიმა-ბალერინა ლენჩევსკაია. კაპელმეისტერი ანტ ეიხენვალდი.
ფროსი რეჟისორი ს. გეცევიჩი. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ორშაბათს, 17 იანვარს, გასტროლი პაპაიანისა. ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარ-
ადგენილი იქნება „რომეო და ჯულიეტა“, ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ჰუნოსი.

გამგე ი. კელლერი. ბილეთები იყიდება.

ყოველ-კვირეული ჟურნალი

მოგზაური

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოვა 1905 წელს 16 იანვარიდან ვრცელის პროგრამით

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელი-
ვა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდაძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვი-
ილელი, კ. ჯაფარიძე, ა. წულუკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით რუსეთის ქალაქებში:

რთის წლით—5 მან., ნახევარის წლით—3 მან., ცალკე ნომერი—სამი შაური. წლიურის ფა-
ს შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: „მოგზა-
რის“ რედაქციაში (რეუტოვის ქუჩა, № 21) და წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში შიო ქუჩუ-
შვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ჭიათურაში—ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრე-
იაში—ყარამან ნანეიშვილთან, ხონში—ექიმ კიკალიშვილთან. რედაქცია იმყოფება რეუტოვის
უჩაზე სახლი 21. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «МОГЗАУРИ».

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

გაზეთი „ივერია“

განახლებულის რედაქციით 14 იანვარს ვერ გამოდის. გაზეთი კიდევ რამდენისამე დღის განმავლობაში ძველის რედაქციითა და წინანდელის ზომისა უნდა გამოვიდეს.

1905 წლ. **იანვრის 16-ს, კვირას,** ტფილისის სამეურნეო ბანკის დარბაზში, დილის ათს საათზედ, დანიშნულია **ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების პირველ საგანგებო კრების გაგრძელება.**

მოხდება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

(2—1)

პირველი

კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი—9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ. ყელისა, ურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ, შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана**. Тифлисъ, противъ памятн. Воронпову.

წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები

გენერალ მიშჩენკოს თარეში. გენ. მიშჩენკოს რაზმმა მდ. ლიაოხეს პირ-პირ გაითარეშა, თვით ზღვის პირად ინკოუმდე ჩავიდა და ზურგიდან მოექცა გენ. ოკუს არმიას. რუსის კორესპონდენტები იუწყებიან, გენ. მიშჩენკომ დიდი ზარალი მისცა იაპონელებსაო, თითონ იაპონელები კი ამბობენ, სათქმელი ზარალი არა მოუცია-რა გენ. მიშჩენკოსაო. როგორც ვიცით, „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი სწერდა, ამ თარეშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კავალერია ბევრს ვერას აკლებს გამაგრებულ ქვეითა ჯარსაო. ამ კორესპონდენტის ცნობა მით უფრო დასაჯერია, რომ თარეშის დროს თითონაც გენ. მიშჩენკოს რაზმში ყოფილა. მართალია, რუსის რაზმს რკინის რკინის გზა დაუნგრევია ხაიჩენთანა დაშიჩაოსთან, მაგრამ, როგორც დეპეშა იუწყებოდა, იაპონელებს ხელად აღუდგენიათ. გენ. მიშჩენკოსათვის გზაც მოუჭრათ იაპონელებს, მაგრამ მარდ კავალერიის მომწყვდევა შეუძლებელია, რადგან მოჭრილ გზის მაგივრად მუდამ სხვა გზით შეუძლიან წასვლა. აკი გენ. მიშჩენკოს რაზმიც ხელიდან წასვლიათ იაპონელებს და ისევ თავის პოზიციებზე დაბრუნებულა, ზარალი კი მაინც დიდი მოსვლია რუსის რაზმს. როგორც გენ. კუროპატკინი იუწყებოდა, მიშჩენკოსათვის 7 აფიცერი და 73 ჯარის კაცი მოუკლავთ, 32 აფიცერი და 237 ჯარი კაცი დაუჭრიათ და 21 სალდათი დაკარგულა (ალბად, ტყვედ დაუჭერიათ იაპონელებს). ამ თარეშის თაობაზე „რუსსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: „რასაკვირველია კავალერიის თარეში დიდ ზარალს ვერ მოუტანს მტერსა და განსაცდელში ვერ ჩააგდებს დიდ არმიას, მაგრამ მტრის ჯარის საფუძვლიანი დაზვერა კი მხოლოდ ასეთის თარეშით შეიძლება; მტრის ძალისა და განზრახვის გასაგებად კავალერია უსათუოდ ზურგიდან უნდა მოექცეს მტერსა და იქ რიგზე დაზვეროს მტრის არმია. მაგრამ რომ ასეთმა თარეშმა არსებითი სარგებლობა მოიტანოს, ეს საქმე რიგზე, სისტემატიურად უნდა მოეწყოს. კავალერია ხშირად უნდა გაითარეშებდეს ხოლმე სხვა-და-სხვა მხარეს, თორემ უამისოდ კავალერია უცებ მოულოდნელად ველარ დაეცემა მტერსა და მუდამ სისტემატიურად ვერ მოიტანს ცნობებს: ხანდახან, თითო-ოროლა თარეში კი მხოლოდ საზარალო იქნება, სარდალი მხოლოდ შემთხვევით ცნობებს შეიტყობს და მტერს უფრო გაამაგრებინებს სუსტ პოზიციებს, ერთის სიტყვით, რომ თარეშმა სარგებლობა მოიტანოს, საჭიროა კავალერიამ ნამდვილი პარტიზანული მოქმედება დაიწყოს მტრის არმიის უკან. პარტიზნულ მოქმედებისათვის ბევრი კავალერიაა საჭირო და გენ. კუროპატკინისაც-კი დიდძალი კავალერია ჰყავს, რამდენჯერმე მეტი, ვიდრე მარშალ ოიამას. სამხრეთ მანჯურიაში გენ. კუროპატკინს 40 პოლკი ან 246 ესკადრონი კავალერია ჰყავს (41 ათასი კაცი); მოხალისეთა ხუთი ცხენოსანი რაზმიც რომ მივუმატოთ, დავინახავთ, რომ გენ. კუროპატკინს ტელინს ქვემოთ სულ 42 ათასი ცხენოსანი კაცი ჰყავს. გენ. კუროპატკინს ტელინს ქვემოთ 10 ბატარეა ცხენოსანი არტილერიაც უნდა ჰყავდეს, სულ 3 ათასი ცხენოსანი არტილერისტი უნდა ჰაყავდეს და 80 ზარბაზანი უნდა ჰქონდეს. ასე რომ, გენ. კუროპატკინს სულ 45 ათასი ცხენოსანი არტილერისტი ჰყავს და თამამად შეუძლიან პარტიზანულ ომის დაწყება იაპონელების ორთავ ფრთაზე. საკვირველია, რომ ამდენი კავალერია უსაქმოდ იყო, აქამდე და ადრევე არ შეუდგა თარეშობას. ზამთარში ადვილიც იყო თარეში, მაგრამ, როგორც ეტყობა, მანჯურიაში თბილი ამინდი დგება, მდინარე ხუნხეზე და ტაიძიხეზე ყინული ლხვება და კავალერიას თარეში გაუძნელდება».

მაინც გენ. მიშჩენკოს რაზმს ახალ წლის შემდეგ მეორედ აღარ გაუთარეშნია.

ამ თარეშმა დიპლომატიასაც გაუჩინა საქმე. იაპონელები ირწმუნებიან, გენ. მიშჩენკომ მდ. ლიაოხეს მარჯვენა ნაპირნაპირ ნეიტრალურ ადგილზედ ჩაიარა, თორემ უამისოდ ჩვენს ჯარს ვერ წაუვიდოდაო, ასე რომ, რუსებმა ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაარღვიეს, რადგან მდ. ლიაოხეს მარჯვენა მხარეს სამხედრო მოქმედება აკრძალულიაო. დიდმა სახელმწიფოებმა ყურადღება მიაქციეს იაპონიის საჩივარს და ამ საგანზე დიპლომატიური მოლაპარაკება გაიმართა.

საუბარი იაპონელ აფიცერთან. «მატენ»-ის საგანგებო კორესპონდენტს სმეს გენ. ნოგის არმიის ბანაკში მაიორ იამოკასთან უსაუბრნია ეხლანდელ ომის შედეგზე.

— როგორი შედეგი ექნება რუსეთ-იაპონიის ომს?—უკითხავს კორესპონდენტს.

— ძნელია მაგ კითხვაზე პასუხის მოცემა. არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებს—რუსეთი თუ იაპონია, მაგრამ ჩვენ უსათუოდ უნდა დავვეწყო ეს ომი და რუსეთის წინსვლა შევვეყენებინა. რუსეთი თავის სამფლობელოს აფართოვებდა და იაპონიის არსებობასა და დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვწადიან, მანჯურია ჩინეთს უნდა დავუბრუნოთ. არ გეგონოთ, რომ ჩვენ რუსის ხილხის მტრები ვიყვნეთ. სულაც არა. ჩვენგვიყვარს რუსის ხალხი და ომამდე კარგ განწყობილებაში ვიყავით რუსეთთან.

კორესპონდენტს უთქვამს: პორტ-არტურში რუსები ძლიერ გიჩიოდნენ, ვითომც თქვენ მუდამ ზარბაზანს ესროდით წითელ ჯვარს.

მაიორი იამოკა აღელდა თურმე და გაცხარებით უპასუხა: იაპონელები განათლებული ხალხია, მუდამ კაც-მოყვარულად ომობს და წითელ ჯვარს დიდ პატივსა სცემს, მაგრამ ბოლოს დროს რუსები მეტად ხშირად ეფარებოდნენ ხოლმე წითელ ჯვრის ბაირაღს, ეხლა ჩვენ აღარას დავუჯერებთ რუსებს. ვერცარავინ საყვედურს გვეტყვის ამაზე. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

კრების განგრძობა. დღეს, 16 იანვარს, ტფ. სამეურნეო ბანკის დარბაზში, დილის 10 საათზედ, გაგრძელება იქნება ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების პირველ საგანგებო კრებისა კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

⁂ **პეტერბურგიდგან „ნოვ. ობოზრ“-ს დეპეშით** ატყობინებენ 13 იანვრის თარიღით: „პეტერბურგის ქუჩებში გაკრულია გენერალ-გუბერნატორისა და ფინანსთა მინისტრის განცხადება. პეტერბურგის გაზეთები არ გამოდის. კითხულობენ მხოლოდ მოსკოვის გაზეთებს; ყველაზედ ბევრი იყიდება გაზ. „რუსკია ვედომოსტი“, რომელსაც ბევრსა თხოულობენ“.

⁂ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა** და ზოგიერთ ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების საერთო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების 25 წლის იუბილეის პროგრამმის შესამუშავებლად დანიშნულია 19 იანვრისათვის.

⁂ **ქალ. გამგეობის წევრის არჩევანი**, ნაცვლად ტ. ა. ენფიანჯიანცისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, დანიშნულია ხვალ, 17 ნოემბრისათვის. ხმოსნები ჯგუფებად გაიყვნენ და ერთი ჯგუფი გამგეობის წევრის თანამდებობაზედ ისევ ტ. ა. ენფიანჯიანცს ასახელებს, ხოლო მეორე—ექიმს ა. ი. ხატისოვს.

⁂ **† კ. ი. ფავლენიშვილი.** გუშინწინ, 14 იანვარს, თავის მამულში, სოფ. ტყვიავს, გორის მაზრაში, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კონსტანტინე იასეს ძე ფავლენიშვილი. განსვენებული ოთხმოციან წლებში „დრო-

ებაში“ თანამშრომლობდა, სწერდა ერთობ ენა-მახვილიან ფელეტონებს ფსევდონიმით „ლომკირიძე“, ქართლის თანამედროვე ჭირ-ვარამზე. ამ ფელეტონებს გატაცებით კითხულობდნენ და ბევრი უსიამოვნებაც მიაყენეს განსვენებულს ამის გამო. განსვენებულმა წერას მალე დაანება თავი, მაგრამ ყველა ქართულს საქმეს თანაუგრძნობდა და შეძლების დაგვარად შეჰქონდა თავისი წვლილი როგორც ქონებრივი, ისე გონებრივი, სამშობლო ქვეყნის სასარგებლოდ.

⁂ **ახალის პროგრამმით სწავლება.** საქართველოს საეგზარხოსოს საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში ახალის პროგრამით სწავლებას, რომელიც შარშან შეიმუშავა სამრევლო სკოლების მეთვალყურეთა კრებამ და რომელიც უწმ. სინოდმა ზოგიერთის ცვლილებით დაამტკიცა, შემოიღებენ მომავალ სამოსწავლო წლიდგან.

⁂ **მოსკოვის უნივერსიტეტის 150 წლის იუბილეის გამო,** ტფ. ოლქის სასამართლოს ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთ შემდეგის შინაარსის მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს უნივერსიტეტის მთავრობას: „ტფ. ნაფიცნი ვექილნი და მათნი თანაშემწენი ულოცავენ 150 წლის იუბილეის რუსეთის უძველესს უნივერსიტეტს. ვისურვებთ, რომ ამის შემდეგაც დაიცვეს წმიდად და ხელ-შეუხებლად თვისი წმიდა ტრადიციები. გულ-მხურვალედ ვუსურვებთ ძვირფასს უნივერსიტეტს მე-151 გაზაფხულში გადადგომას, რომ მისი ცხოვრება თავისუფალ განვითარების გზას დასდგომოდეს და ჩამდგარიყოს აკადემიურ თავისუფლების ვრცელსა და დაურღვეველს ვითარებაში“. ამ დეპეშის პირი გაეგზავნა გაზეთ „რუსსკია ვედომოსტის“ რედაქცია.

⁂ **იმ უბედურ შემთხვევისა გამო,** რომელიც მოჰხდა ელისაბედის ქუჩაზედ 12 იანვარს, როდესაც ელექტრონის ტრამვაის ვაგონმა გასრისა 10 წლის ბავშვი ანნა ფილინის ასული, ხმ. სოსინმა განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, წინადადება მიეცით ბელგიის უსახელო საზოგადოებას, რომ ტრამვაის ვაგონებს წინ რეზინ-შემოვლებული ბადე გაუკეთოსო, რათა ამისთანა შემთხვევანი კვლავ აღარ განმეორდესო. 13 იანვარს ამის თაობაზედ კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობას და ხმოსან ტეხნიკოსთ უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის თანადასწრებით. კრებამ არ მოიწონა ხმ. სოსინის წინადადება და დაადგინა, შეეკითხოს ევროპისა და ამერიკის ქალაქებს, სადაც ელექტრონის ტრამვაია მოწყობილი, რა ღონისძიებასა ჰხმარობენ უბედურების თავიდგან ასაცილებლად, ხოლო მანამდე კი დაავალოს უსახელო საზოგადოებას, რომ გამოცდილი ვატმანები იყოლიოს და ტორმოზები ისე მოაწყოს ვაგონებზედ, რომ დაუყოვნებლივ შეიძლებოდეს მიმავალ ვაგონის გაჩერება.

⁂ **მოკვლის განზრახვა.** ხუთშაბათს, 13 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზედ, რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოების ეზოში, თუჯის ჩამოსასხმელ ცეხის მახლობლად, ნაძალადევის მხრიდგან, თუჯის ჩამომსხმელ ოსტატს ინჟინერ-ტეხნოლოგს ა. ი. ბერეზოვსკის ვიღამაც მოკვლა მოუნდომა და სამჯერ ესროლა რევოლვერი. ერთი ტყვია ბერეზოვსკის მარჯვენა ხელში მოჰხვდა. ბოროტ-განმზრახველს გამოუდგა სახელოსნოების სამი მუშა, მაგრამ ბოროტ-განმზრახველმა ორჯერ რევოლვერი ესროლა მუშებს, რის გამოც უკანასკნელნი შეშინდნენ და გაჩერდნენ. ამით ისარგებლა ბოროტ-განმზრახველმა და დაიმალა.

⁂ **თათრულ** გაზეთ **„შარკი რუს“-ის** რედაქტორ-გამომცემელმა შახტახტინსკიმ შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობასთან იმის თაობაზედ, რომ ნება დართონ ხსენებული გაზეთი ბაქოში გადაიტანოს. კავკასიის უმაღლესს მთავრობას შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

⁂ **ყალბ სამგზავრო ბილეთების** მომზადებელთა საქმე, რომელიც უნდა გარჩეულიყო ტფ. ოლქის სასამართლოში ხუთშაბათს, 15 იანვარს, გადაიდვა სხვა დროისთვის, რადგანაც ორი ბრალდებული—აბრამ შარაპანოვი და მიტროფანე ბადილოვსკი—და მრავალი მოწმენი არ გამოცხადდნენ. ამ საქმისათვის გამოწვეული იყო სასამართლოში 49 მოწმე.

⁂ **დამზღვევ საზოგადოების „ურბენის“** კასიდგან მოპარულ 20,000 მანათის ნაწილი, როგორც კიევის გაზეთები იუწყებიან, აღმოუჩენია პოლიციას ბაბალოვს, რომელმაც ფული გაიტაცა, ვერა შნეიდერისათვის მიუბარებია 14,400 მანათი. ვერა შნეიდერს 11,000 მანათი ქაღალდის ფული ჩულქში გამოუხვევია და ჩემოდანში შეუნახავს, ხოლო 3,000 მანათი ცვირსახოცში გამოუკრავს და კამოდში ჩაუდვია, 400 მანათი კი ცალკე შეუნახავს კამოდშივე. ბაბალოვს ვერა შნეიდერი გაუცვნია ტფილისში, სადაც ეს უკანასკნელი ერთს კაფე-შანტანის ხოროში მომღერლად ყოფილა, მოსწონებია, დაუნიშნავს და ჯვრის დასაწერად ემზადებოდა. აღმოაჩინეს აგრეთვე ერთ ტფილისელ იუველირის ანგარიში 687 მანათისა; ამ იუველირისაგან ბაბალოვს უყიდნია 687 მანეთად თავის საცოლოსათვის საყურეები. შნეიდერის სადგომშივე იპოვეს 30 ბოთლი ღვინო „კახეთის“ საზოგადოებისა, რომელიც აგრეთვე ქორწილისათვის სდომებია.

⁂ **ს. ე. სიმონოვიჩის დაკრძალვა.** გუშინ მიწას მიაბარეს ახლად გარდაცვალებულის სამთო ინჟ., პანტეოლოგიისა და გეოლოგიის დოქტორის ს. ე. სიმონოვიჩის ცხედარი. დასაფლავებას დიდი საზოგადოება დაესწრო.

⁂ **ქალაქის ხარჯის დუქნების** გამგე კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხმ. ს. პ. ი. ვაწაძე.

⁂ **ბაქო აჯიქაბულის რკინის გზის ლიანდაგზედ** ყველა მატარებელთა მიმოსვლა 11 იანვრიდგან ახალ განკარგულებამდე შეჩერებულია დიდის თოვლისა და ზვავის გამო. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობამ გამოაცხადა, რომ პასუხს არ ვაგებ ვადიან საქონლის დაგვიანებისათვისაო. ბაქოს გუბერნატორმა 600 ჯარისკაცი გაჰგზავნა გზის გასაწმენდად სადგ. კიშლში, ხოლო გზა-ტკეცილზედ მიმავალ ეტლებს მიაცილებს 25 ჩაფარი. სადგურ კიშლში დარჩენილ მგზავრთა და მუშათათვის ბაქოდგან გაჰგზავნეს 50 ფუთი პური.

⁂ **ბაქოს ფოსტა** ეს მეოთხე დღეა ტფილისში არ მოსულა.

⁂ **დიდი თოვლი.** ბათუმში ერთ ადლზედ დაუდვია თოვლი. ტელეფონი აღარ მოქმედებს. ბევრგან სახლის სახურავები ჩაუნგრევია თოვლს. მისვლა-მოსვლა ბევრ ალაგას შეწყვეტილია.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის კრება.

(დასასრული*)

კრებამ გასტანა კიდევ ორ დღეს თითქმის იმგვარივე სიფიცხით და ინტერესით. კრებამ ერთხმად დასცვალა საბჭოს წევრები, არც ერთი არ დატოვა ძველებიდან (ზოგმა თითონ განაცხადა უარი, რადგან კარგად იცოდა, რაც მოელოდა), და აირჩია ახლები; ეგევე დამართა კრებამ სარევიზიო კომისიას. ამაზედ არ შეჩერდა კრება. მან დასცვალა კიდევ ბანკის რამდენიმე მოსამსახურე, მაგ., ბუხგალტერი ბ-ნი ი. პურადოვი, რომლის ნაცვლად დანიშნა ბ. რ. დათეშიძე და შეამცირა ყველა ჯამაგირები, თავმჯდომარიდან დაწყებული უბრალო მწერლამდე. დაბოლოს კრებამ მოისურვა ძველი საბჭო-გამგეობის წევრთა სისხლის სამართალში მიცემა და მათი დანაშაულის გამოსარკვევად აარჩია კომისია 21 კაცისაგან შემდგარი. კრების ბოლოს წამოდგა ერთი ახალი დირექტორი და განაცხადა ხმამაღლა: კასსაში ფული არ არისო. ეს გახლდათ ძველის საბჭო-გამგეობის მოქმედების აპოთეოზი.

როგორც საზოგადოდ, ეს კრებაც ვერ აცდა კურიოზებს და ინციდენტებს. აი რაში იყო საქმე:

1. ხალხი ყვიროდა: უნდა დავცვალოთ ერთიანად ყველა მოხელე თავმჯდომარიდან დაწყებული უბრალო მწერლამდეო. —არამც თუ ყველა, თვით მათი ნაჯდომი სკამებიც კი უნდა მოვსპოთ!—გაიძახოდა ერთი.—მარტო სკამები კი არა, თვით ის კალმები და საწერლებიც უნდა მოისპოს, რითაც ისინი სწერდნენ და ამოდენა ფულს აძლევდნენ პეტრე წულუკიძესო, ბანს აძლევდა მეორე.—დეზინფექცია უნდა მოვახდინოთ, სრული დეზინფექცია მთელს ბანკში! გაკიოდა მესამე.

2) გააფთრებულ ბრბოს ტონს აძლევდა ორი დემაგოგი, მამა და შვილი. ერთი თავის ჭიჭყინა ხმით, გაბერილ ფაშით და მოტყლაპულ სახით გაგონებდა ურიის ხახამს, მეორე კი თავის ქერა წვერით და წოწოლა სახით საოცრად გავდა ბერდიჩეველს. ორთავესათვის და მეტადრე შვილისთვის ღმერთს ებოძებია სიმაღლე და მასთან ღრიალა ხმა, რომ არამც თუ ზოგიერთს კაცს, თვით ზოგიერთ ცხოველსაც კი შეშურდებოდა. სიმაღლეს და მეტადრე ხმას თურმე დიდი მნიშვნელობა ქონებია. ხალხის გიპნოზი და მოხიბლვა მხოლოდ ხმით ყოფილა შესაძლებელი. ბრბოს არ უნდა შენი ჭკუა, ნიჭი, ცოდნა და ლოღიკა, არა, ბრბოს უნდა მხოლოდ მჭექარე ან ღრიალა ხმა. ამაში ღრმათ დავრწმუნდი ამ კრებაზედ. მაგრამ არ იფიქრო, მკითხველო. რომ მარტო ამ ძვირფას თვისებით, ე. ი. ხმით, არიან დაჯილდოებულნი ეს ორი არსება. არა, გულკეთილ ღმერთს ამათთვის მიუცია კიდევ მამა-შვილური სინაზე და სიყვარული. ამათ ისე ყვარებიათ ერთმანეთი, რომ კრებაზედ საზოგადო თანამდებობასაც კი სთავაზობენ ერთმანეთს. მაგ., შვილი უთითებს მამაზედ და ურჩევს ხალხს, აირჩიეთ საბჭოშიო, მამა კი, ნაცვლად ამისა, ირჩევს შვილს კამისიაში.—„რა კაი ყოფილა თურმე როცა მამა და შვილი სხვა და სხვა გვარს ატარებსო“, წამიჩურჩულა ვიღამაც და ჩაიცინა.

3) მაგრამ ყველაზედ უფრო საოცარია ყოფილ დირექტორის თ-დ კირილე ლორთქიფანიძის საქციელი. ეს დარბაისელი მოხუცი სულ მუშტებზედ იცქირებოდა და არაფერის ლოცვით არ სურდა გადაეცა თამასუქები ახალ გამგეობისთვის. რა სწადდა ამ საქციელით, ვის ან რას უძალდებოდა, ეს დღემდე ვერ გაგვიგია. ეს მხცოვანი ადამიანი თითქმის 40 წელია, რაც გამოვიდა სამოღვაწო ასპარეზზედ

და ამ ხანში მისკენ იყო საზოგადო
სიმპატია და სიყვარული. ყველა ვეძახ
მას „ჩვენს კირილეს“ [illegible] გვწა
იგი ნიჭიერ, უანგარო მოღვაწედ, ზენ
პატიოსან კაცად, თითქმის წმინდან
ერთის სიტყვით, კირილე იყო ქუთაი
არისტიდი და ჩვენ ყველას გვწამდა, რ
თუ ვინიცობაა გაგვრისხოდა ღმერთი
თათურებს, მხოლოდ წმინდა კირილე
შეეძლო აეცდინა ჩვენთვის სოდომ-გო
მორის ბედი, დღეს კი... დღეს რას ვ
დავეთ?! კირილე, ჩვენი წმინდა კირილე
წევრია იმ საბჭო-გამგეობისა, რომელმ
დაღუპა თითქმის ჩვენი ბანკი; კირ
ამხანაგია ქუთათურ პანამისტების, კირი
უნდა დაჯდეს დამნაშავის მერხზედ
ღმერთო, ეს რა მოხდა? .. სადაა ჩვე
წმინდა კირილე?! ნუ თუ ამ კაცის წმ
დანობა იყო მხოლოდ ფიქცია?!.. ამ კა
პიროვნებას, მთელს მის წარსულს, გა
ეფარა ამიერიდგან სფინქსის საბერა
დღეიდგან ეს კაცი შეიქნა ჩვენთვის ძ
ლად გამოსაცნობი ამოცანა. ვინაა ი
იარაღი, მსხვერპლი პანამისტების, სა
ყვანო მოხუცი ფერდინანდ ლესეპსი ბ
თვით ურცხვი პანამისტი, გაიძვერა რ
ნახი? ეს ჩვენ არ ვიცით, საუბედურო
ამიტომ ვთხოვთ ყველა ერთხმად, ვთხო
მთელი საზოგადოება ბ-ნ კირილეს, ა
იღოს ხმა, სთქვას რამე, აგვიხსნას ყვე
ფერი გულახდით, გვითხრას მართალი. გვი
ბოს: მომხრეა იგი პანამისტებისა, თუ მსხვ
პლი და იარაღი! ჩვენ გვსურს, ჩვენ გვი
გულით, რომ კირილე დარჩეს ისევ ზნეობ
ფაქიზ ადამიანად, ჩვენს წმინდანად, ჩვე
სთაყვანო კირილედ!... ამასვე ვთხოვ
ყველა ბრალდებულთ, ბანკის ძველ საბჭ
გამგეობის ყველა წევრთ—თითონ ამოიღ
ხმა, სთქვან დაუფარავად, საქვეყნოდ ყ
ველივე სინამდვილე გაზეთის საშუალებ
ნუ აყბედებენ გაზეთებში რაღაც ამ
უბდებს სხვა და სხვა ფსევდონიმებით
ვიანთ შვილებს, ბიძაშვილებს და ნათ
ლებს. ჯობია თვითონ თქვან ყველაფე
გაბედულად, თუ კი რამე აქვთ სათქმელ
ნუ ხმარობენ იარაღათ სოფისტიკას
და ლოღიკის კილოკავებს. ეს იარა
უკვე დაძველდა. ამ დამნაშავეთა შორ
ჩვენ ვუმზერთ მისთანა პირთ, რომელთა
ვცნობდით ფრიად პატიოსან კაცებ
მაგ., დ. ხელთუფლიშვილს, დ. ბაქრაძ
დ. აბდუშელიშვილს, ა. საყვარელიძეს (
სხვებს. ვთხოვთ ამ პატივცემულ პირ
ამოიღონ ხმა და თქვან ყოველივე ს
მართლე. საჭიროა ნათელი მოეფინ
ბანკის საქმეთა საიდუმლოებას! მაშ, ბრძ
ნეთ, ბატონებო! ჩვენ გისმენთ!... წარმ
დგინეთ ნამდვილი, ჭეშმარიტი საბუთებ
ამოიღეთ ხმა!...

---

*) იხ. „ივერია“ № 9.

ფელეტონი

ძველს ღმერთებს.

ძველნო ღმერთებო, თვისნება და მედიდურებო!
ფუფუნებითა აღზრდილნო და გალაღებულნო,
სქელ-კანიანნო, უმოქმედნო და უძლურებო,
ძველის რიხითა აღსავსენო, პირდაღებულნო.
განზე დადექით!., გზა მიეცით ახალს, მშვენიერს,
ღმერთსა მამაცთა, უშიშართა, მხნესა და ძლიერს!
იგია ღმერთი ბრძოლისა და გამარჯვებისა
შეუპოვარი, უდრეკი და ვით კლდე მაგარი;
იგი შვილია ერის ტანჯვის და ცრემლებისა,
და ერისავე გულში არის მისი ტაძარი!
გზა, გზა მიეცით, ძველნო ღმერთნო, ახალს, მშვენიერს
ღმერთსა დაჩაგრულთ, ღმერთსა მებრძოლს, უშიშარს, ძლიერს!..
თქვენ შეგვაჩვიეთ თვალთმაქცობას, პირმოთნეობას,
სილაჩრესა, ლაქუცობასა და ქვემძრომობას!..
თქვენის რჩევითა ჩვენ ვითხოვდით მოწყალეობას,
ჩუმად ვიტანდით დამცირებას, ქვეყნისა გმობას...
ეხლა კი კმარა! აღარა გვწამს თქვენი არა-რა:
ხელმძღვანელობა თქვენი ტკბილი დიალ გვემწარა!..
ნუ გვაწვიმებთ საშინელს სიტყვებს, ნუ ჰქუხთ რისხვითა,
ნუ დაგვხარხარებთ, ბრწყინვალენო, ოლიმპის მთიდან!
ვით ყარამანი, ჩვენი ღმერთი მძლავრისა ხმითა
ძირს ჩამოგაგდებსთ თავდაყირა მაღალ ტახტიდან...
ვერ შეუღლობავთ, ძველნო ღმერთნო, გზას მხნესა, ძლიერს,
ჩვენს გულის ძალას—ახალს ღმერთსა, ნორჩსა, მშვენიერს...

კ. მაყაშ—ი.

ცოტა რამ იაპონიის შესახებ.

—

რუსეთ-იაპონიის ომით დაინტერესებულია დღეს ყველა განათლებული ქვეყანა; მათის აზრით, ის დიდ მნიშვნელოვანია არა მარტო მეომარ სახელმწიფოთათვის, არამედ ღრმა კვალს დაამჩნევს მსოფლიო პოლიტიკის მიმართულებასაც; ამიტომ ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს მის მსვლელობას და მოუთმენლად მოელიან მის ასეთსა თუ ისეთს დასასრულს. აქ „ამომავალ მზის იმპერია“, როგორც იაპონიას უწოდებენ, ისეთ ყურადღებას იპყრობს, რომ უომოდ კაი ხანს არც კი მოელანდებოდა. მისი სამხედრო მომზადება, ფლოტი, ჯარი, დისციპლინა, სიმამაცე და სხვ. ისეთი საგნებია, რომლის შესახებაც მსჯელობას გაზეთების მთელი სვეტები ეთმობა; და მეტად საინტერესო ცნობებთან ერთად, რასაკვირველია, გადაჭარბებასაც თავისი ადგილი აქვს. მეტისმეტი ყურადღება ექცევა სამხედრო ძლიერებას და სულ ცოტა, ან სრულად არავითარი ყურადღება არ ექცევა მას, რაც ამ ზარბაზნების გრიალში დროებით დაჩრდილულია და რაზედაც თვით ეს ძლიერება არის აშენებულ-დამყარებული. ამ მხრივ საინტერესოა ლონგეს ახლათ გამოსული წიგნი (ფრანგულ ენაზე) „სოციალიზმი იაპონიაში“, რომლითაც უმთავრესად ვისარგებლებთ ამ წერილში, რომ მოკლედ დავახასიათოთ, რა მდგომარეობაში იმყოფება იაპონიაში მრეწველობა, რომლის წყალობითაც ასე ამაყად სდგას იაპონია და როგორ სურათს წარმოადგენს მისის ნაციონალურის სიმდიდრის შემქმნელი ქალაქის მუშა ხალხი.

ამ ორმოც-და-ათის წლის წინად თეთრკანიანებს სანთლითაც ვერ იპოვნიდით იაპონიაში, რომელსაც იმ დროს ევროპის კულტურისა არა ეცხო-რა. მაგრამ საოცარის სისწრაფით განვითარდა მისი მრეწველობა, რომლის ზრდაც მაშინ დაიწყო, როცა იაპონიამ კარი გაუღო დასავლეთ ევროპის ცივილიზაციას. 1873 წ. იაპონიიდგან გატანილ საქონლის ფასი უდრიდა ნახევარ მილიონ იენს (იენი მანეთზედ ცოტა ნაკლებია); 1903 წელს კი 50 მილიონ იენს. ამ 35 წლის წინად იაპონიაში მარტო წვრილი წარმოება იყო გამეფებული; 1888 წლიდგან კი იაპონია ჰყიდულობს ევროპასა და ამერიკაში არა ნაკლებ 35 მილიონ იენის (32 $^1/_2$ მილიონი მანეთი) სხვა და სხვა მანქანებს.

იაპონიის წარმოების ასეთ ზრდას ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდგომარეობა. იაპონია პატარა კუნძულებისაგან არის შემდგარი, რომლის მცხოვრებლებს თან-და-თან ემატება; სახნავი მიწა ძლიერ ცოტაა, 5 მილიონ გექტარს ძლივს უდრის და ამიტომ მეტი ყურადღებაა მიქცეული ქალაქის მრეწველობაზე; აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მთელ შორეულ აღმოსავლეთს იაპონია აწვდის საჭირო საქონელს, მისის წარმოების აყვავებას ძალიან ეხმარება.

მრავალი ქარხნები შენდება ოსაკოსა, ტოკიოსა და კიოტოში; მიიკის მაღაროებში, ნაგასაკის მახლობლად მუშაობს არა ნაკლებ 5000 მუშისა, საიდგანაც დღეში 2000 ტონაზე მეტი ლითონი ამოდის. ამ ხანად მთელ შორეულ აღმოსავლეთში ეს ყველაზე შესანიშნავი ლითონებია. 1894 წ. 465 სხვა და სხვა წარმოებაში 59 მილიანი იენი იყო დაბანდებული, 1901 წ. კი 1180 წარმოებაში უკვე 250 მილიონი იენი, ესე იგი, იმ დროს, როდესაც წარმოებათა რიცხვმა იმატა ორჯერ (ცოტა მეტათ), მათი კაპიტალი გაიზარდა ოთხჯერ. ამავე დროს შეუჩერებლად წინ მიდის კაპიტალის კონცენტრაცია, რომელიც მეტად ეტყობა თამბაქოს წარმოებას; ამ ბოლო დროს მთავრობას ცდილობს მთლად დაეპატრონოს ამ წარმოებას. წვრილმა წარმოებამ თან-და-თან დაუთმო ადგილი მსხვილსა და ისე დაიჩრდილა მისი ძლევა მოსილი განვითარებით, რომ თითქმის აღარსადა სჩანს იგი. მსხვილ წარმოებაში მომუშავეთ დღეს უკვე 600.000 მუშა ითვლება.

გავსინჯოთ მათი ცხოვრების პირობები:

მსხვილი წარმოების აღორძინება, მისი პირველ ნაბიჯები მეტად მწვავე და საგრძნობელი იყო იაპონიის მუშა ხალხისათვის, რომელმაც თავის კისერზე გამოსცადა ყველა ფორმები შეუბრალებელ ექსპლოატაციისა. იმ ქვეყანაში, სადაც „თითქმის ოდესღაც ყველა ღარიბი იყო, მაგრამ არც ერთი მათგანი მათხოვარა არ იყო“, ეხლა დიდი ნაწილი პროლეტარიატისა უკიდურეს გაჭირვებამდეა მისული, ასე რომ, მას შეშურდება ხვედრი იმ ღატაკებისა, რომლებსაც ნახავთ ლონდონის ნაწილ ისტენდში, საფრანგეთის საქსოვ ცენტრ რუბეში, ინგლისის გლაზგოში, ან ამერიკის პიტსბურგში. მუშის ხელფასი თან-და-თან მატულობდა წარმოების განვითარებასთან ერთად; მიუხედავად ამისა, ის მაინც ძლიერ მცირეა. ყველაზე დიდ ჯამაგირს რკინის გზის მემანქანები იღებენ, მაგრა მერე რას წარმოა
გენს მათი ხელფასი? იგი დაახლოვებ
60 სენიდგან ერთ იენამდე (55 კ.—1
10 კ.) ადის. მთის მუშები, რომლებ
მეტად ძნელ პირობებში მუშაობენ, დღ
ში ერთ იენაზე (92 კ.) მეტს არ ღებუ
ლობენ.

ერთმა გაზეთმა, რომელიც ტოკიო
გამოდის, მოიყვანა შემდეგი სტატისტი
სამუშაო ქირისა და დღის სიდიდისა:

	მუშის ქირა:		დღის სიდიდ
ბამბის სართავ ქარხანაში	30 ს.	(28 კ.)	—11
აბრეშუმის მქსოველნი	—26 „	(24 „)	—11
ბამბის ფეიქარნი	—19 „	(17 „)	—11
აბრეშუმის ფეიქარნი	—21 „	(19 „)	—10
სელის მქსოველნი	—20 „	(18 „)	—12
მღებავნი	—23 „	(21 „)	—10
შუშის მკეთებელნი	—17 „	(15 „)	—10
ჩამომსხმელნი	—23 „	(21 „)	—10
მხერხავნი	—20 „	(18 „)	— 9
საათის მკეთებელნი	—23 „	(21 „)	—10
საპნის ქარხნის მუშები	—15 „	(14 „)	—10
ქაღალდის ფაბ. მუშები	—20 „	(18 „)	—10
ხოჰალდის მკეთებელნი	—19 „	(17 „)	—10

მკითხველი განცვიფრებაში მოდის
ციფრებისაგან; აქ ექვს შაურამდისაც ვ
აწევს მუშის ქირა და სამ შაურზე ქვე
თაც კი იწევს (საპნის ქარხნის მუშები
აქ ნაჩვენები სამუშაო დღე ჩვეულებრი
ზე ბევრათ ნაკლებია, მაგ., ბამბის სა
თავ ქარხნებში 17 საათი განუწყვეტე
მუშაობაა. აქ ნაჩვენებზე დიდ ქირ
მხოლოდ საუკეთესო მუშები იღებ
მომუშავე ბავშვების ქირა კიდევ უფრ
ნაკლებია: 8—10 სენი (7—8 კაპ.) დღ
ში ბამბის სართავ ქარხნებში და ზოგ
ერთ მაღაროებში.

მეტად შეუბრალებლად ამუშავებენ მ
შა-ქალებს საქსოვ ქარხნებში: დაქირავ
ბის შემდეგ მათ ფაბრიკიდგან აღარ უშ
ბენ, რასაც პოლიცია ხელს უწყობს, რადგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ორიოდე სიტყვა კრების შესახებ. ამ კრებას ემჩნეოდა ძირითური განსხვავება სხვა ამგვარ კრებათაგან. მაშინ, როდესაც წინად ბატონობდა კრებაზედ მხოლოდ ინტელიგენცია, ხალხი კი იყო მი-ი ყურმოჭრილი მონა, ახლა, თითქო შეიცვალეს როლებიო, მეთაური, აქტიური როლი ეკუთვნოდა თვით ხალხს (უმთავრესად ვაჭრებს) და, ვაი იმას, ვინც წავიდოდა მათ სურვილის წინააღმდეგ. აქ თავი ეყრია გააფთრებულ ხალხს, რომლის ვნება-სურვილის კლავიშებზედაც ურტყამდნენ დემაგოგნი ბანჯგვლიან ხელებს და იწვევდნენ საშინელ ხმებს. ხალხის მსჯავრი იყო სასტიკი, მაგრამ სამართლიანი. მის მიერ ბანკის საქმეთა გარჩევა, ბანკის ექიმობა, იქნებოდა კრებაზედ რაღაც ხაოტიური, რომ ბანკის წევრთ წინდაწინ არ ქონებოდათ კერძო კრებანი და მომზადება შეგნებულ პირთა მეთაურობით. წევრები დიდის მზრუნველობით მიეპატრონნენ თავის სნეულ ორგანოს და ერთ ხმათ მოიწადინეს მისი განკურნება. კრებამ მიიღო მხედველობაში ფინანსთა მინისტრის წინადადება და ერთხმათ დაადგინა: შეავსოს მთელი ზარალი (ნახევარი მილიონი) აღნიშნულ ვადებში. მანვე დაადგინა: 1) შეიტანოს ამ ორ თვეში მთელ ვალდებულობის 10%, 2) მიღებულ იქმნას ყოველივე ზომა შავიქვის ოპერაციების სალიკვიდაციოთ დადარჩენილ ქვის სარეალიზაციოთ. 3) მოწვეულ იქმნას ფულის მომბარებელნი, აეხსნას მათ საქმის ვითარება და ეთხოვოს ფულის შეჩერება რამდენისამე ხნით. 4) ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს, რათა გაეხსნას ჩვენს ბანკს კრედიტი სახელმწიფო ბანკში და გამოგზავნოს კანტრალიორი. 5) ეთხოვოს ამავე მინისტრს, რომ მიეცეს უფლება ჩვენს ბანკსაც, რათა მიიბაროს არა წევრთა ფული ამ წესით საკმაო დიდი თანხა დაბინავდება ბანკში და მით ადვილათ მოირჩენს მძიმე იარას) და სხვ.; ერთის სიტყვით, აქ ამ ბანკის გადარჩენა-პატრონობაში სრულიათ შეთანხმდნენ ყველა დასი და წოდებანი. აქ წევრთა შორის ვერ ვმხერდით ჩვენ ჩვეულებრივ პარტიობას. აქ ბატონობდა მხოლოდ ერთი აზრი, ერთი სურვილი: რა რიგ გადავარჩინოთ ბანკი საშინელ ხიფათს, რა რიგათ ვუქიმოთ და დავაყენოთ იგი ფეხზედ. ამ შემთხვევაში ქუთაისის საზოგადოებამ გამოიჩინა სიფხიზლე; სიმამაცე და კეთილ-გონიერება. ამ კრებამ ნათლად დაგვარწმუნა, რომ ბანკს ამიერიდან არაფერი უჭირს, რომ იგი მორჩენის გზაზედაა დამდგარი. ამიტომ ამიერიდან ნუ აქვთ ნურავითარი შიში ფულის მომბარებელთ. ყველა წევრთა ვალდებულება და პასუხის გება ადის მილიონ 600 ათას მანეთამდე, მაშინ, როდესაც, ზომების მიღების შემდეგ, ბანკის ნამდვილი ზარალი თუ იქნება 300 ათას მანეთამდე. ეს ფული კი მოკლე ხანში უნდა შეავსონ თვით წევრებმა. ამ რიგათ, სრული იმედია, რომ ბანკი ისევ მალე ჩადგება თავის ნორმალურ კალაპოტში. მადლობა ღმერთს, რომ დროით მოუსწრეს... კრებაზედ არ ქონდა ალაგი ბანკის ძველ საბჭო-გამგეობის მოქმედების კრიტიკას. აქ არ განუხილავთ არც რევიზორთა ანგარიშები და არც გამგეობის მოხსენება. ყოველივე ეს დაბეჭდილია უკვე და გაცნობილი აქვთ წევრებს. საქმის გამოსარკვევათ და დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემათ, როგოროც ზევით ვთქვით, არჩეულია კომისია, რომელმაც უნდა მოახსენოს თავის გამოკვლევის შედეგი მომავალ კრებას მარტში. მხოლოდ ვერ მოვეუწონებთ კრებას ერთ რამეს: მან არ მისცა სიტყვის ნება ბანკის გამგეობას, მან არაფერი ათქმევინა დირექტორებს და თავმჯდომარეს. ეს საქციელი იყო მეტად მკაცრი და ულმობელი. ამ გვარი რამ ამცირებს კრების ღირსებას. რაგინდ დამნაშავე იყოს ადამიანი, მაინც მას აქვს სრული უფლება თქვას რამე და გაიმართლოს თავი, თუ კი შეუძლია. შეიძლება ეს კაცები ტყდებოდნენ თავიანთ საქციელში, გრძნობდნენ სინანულს და გვთხოვდენ ცოდვების პატიებას; შეიძლება გვითითებდნენ სხვა დამნაშავეებზედ, შეიძლება გვაძლევდნენ ხელში ახალ საბუთებს; ვინ იცის! დიაღ, კრება დიდათ შეცდა, რომ არ ათქმევინა მათ არაფერი. მას შეუძლიან თავი იმართლოს მხოლოდ მით, რომ ის იყო აღელვებული და გააფთრებული; ამისთანა დროს კი ყოველი კაცი, და მეტადრე ხალხი, კარგავს ლმობიერებას, სიდინჯეს და კეთილ გონიერებას. ეს გახლდათ ფსიხიური მომენტი. და ამგვარ პირობაში ვერც ეს ხალხი გააკეთებდა რამეს, რომ მას წინ და წინ კერძო კრებებზედ არ ქონებოდა ყოველივე ახსნილი და გარკვეული.

სიმონ ქვარიანი.

23/XII—904 წ. ქუთაისი.

ნარკვევი

ზოგიერთი რუსული „პატრიოტული“ გაზეთები ეხლაც კი ჰყვირიან და ამტკიცებენ, რომ ყველაფერი, რაც კი შორეულ აღმოსავლეთში მოხდა, რუსეთის სამხედრო გეგმას ეთანხმება, ე. ი. ყველა ეს რუსებმა თავიანთ აზრის განსახორციელებლად მოახდინესო. კერპი „მოსკ. ვედ.“ თავისას არ იშლის და ამბობს: ტიურენჩენი, ვაფანგოუ, დაშიჩაო, ლიაორიანი, შახე და ყველა ამ გვარი «წვრილმანი» მოვლენა უმნიშვნელოა და ყურადღების ღირსი არ არისო. არც პორტ-არტურის აღებისა და არც 200—300 მილიონად ღირებულ ფლოტის დაღუპვასა აქვს მნიშვნელობაო.

ომის ბედი იაპონიაში უნდა გადაწყდეს,—სწერს გრინგმუტის გაზეთი.—პორტ-არტურის აღება ომის მიმდინარეობას ვერაფრითაც ვერ შესცვლის, პირიქით, პორტ-არტურის აღება წინდაწინვე მოსაზრებული და განზრახული საქმე იყო და ამიტომ პესსიმიზმი აქ სულ უადგილოა.

დავიჯეროთ, ვითომ „მოსკ. ვედ.“-ის რედაქცია პორტ-არტურის აღებამ არ შეაწუხა და არ დაალონა? ზაფხულში ეგ გაზეთი სწერდა, სინოდმა საჩქაროდ ისეთი კანონი უნდა გამოსცეს, რომ რუსეთის ყველა ქვეშევრდომისათვის სავალდებულო იყოს მარხულობა და ლოცვა, რათა მაღალმა ღმერთმა პორტ-არტური დაიცვას და იაპონელებს არ ჩაუგდოს ხელშიო. ეხლა კი ამტკიცებს, „პორტ-არტურის აღება წინდა-წინვე იყო მოსაზრებულიო“.

თეატრი და ხელოვნება

სახაზინო თეატრი, ბენეფისი ნ. გაბუნია-ცაგარლისა. ხუთშაბათს, 13 იანვარს, გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ წარმოადგინეს ორი ახალი პიესა: 1) „ცოლი—უღელის (თუ უღლისა?) მწეველი“, დრამა 4 მოქ. გადმოკ. ა. ყაზბეგის მიერ, და 2) „ჩვენი ნაცნობები“, სცენები 1 მოქ. გ. დოდაშვილისა.

როცა რომელსამე მსახიობს საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა აქვს დამსახურებული, იგი ზნეობრივად მოვალეა ამ საზოგადოებას უშველად ისეთისავე ყურადღებითა და პატივისცემით მოეპყრას, როგორც მას ეპყრობიან. ზემოხსენებულმა ბენეფისმა ნათლად და მშვენივრად დაამტკიცა, რომ ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს ზემოხსენებული მოვალეობა არა სჯერა და ჰგონია, რომ საზოგადოება მხოლოდ ამის თამაშის სანახავად, ტაშის დასაკვრელად და საჩუქრების მისართმევად მოვიდა. საკვირველია, რა მოსაზრებით აირჩია საბენეფისოდ ქ-ნმა გაბუნიამ ყაზბეგის დაყანგებული, დახავსებული, უშინაარსო, საშინლად გაჩაინურებული და არქივიდან ამოთრეული პიესა? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ მობენეფისეს ამ პიესაში რამდენიმე „ხანუმა“-სეული ფრაზა (რომ ვიღა ამბობს?) და ზოგჯერ უადგილ-ადგილოდ ჩართული და ვითომ და მახვილი შენიშვნები ჰქონდა წარმოსათქმელი? ამ პიესაში არ არის არც ერთი ცოცხალი სცენა და არც ერთი სინამდვილით აღწერილი ტიპი; იდეა ხომ ძველის ძველია, მაგრამ ძველს იდეას რა უშავს, ოღონდ ეს იდეა ხელოვნურად მაინც იყოს გატარებული. ხელოვნებისა კი ამ პიესაში ნატამალიც არა სჩანს. მეორე პიესა—„ჩვენი ნაცნობები“, სცენები (!?) დოდაშვილისა არა ჩვეულებრივი ნაწარმოებია. „ჩვენი ნაცნობები“ სცენები კი არა, ნამდვილი პორნოგრაფიული, უშინაარსო და ცინიკური ფარსია. ავტორს ერთად შეუგროვებია ბაზრული ოხუნჯობა, ფელდფებელური შენიშვნები, ყაზარმული სიმახვილე, აქა-იქ ჩაურთავს უშვერი, „უცენზურო“ სიტყვები, შეუკრავს «სცენებად» და ეს მყრალი თაიგული ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისათვის ჩაუბარებია; იმანაც აიღო, საზოგადოებას მიართვა და იმდენი უტაქტობაც გამოიჩინა, რომ პიესიდან არ ამოშალა და წამოიძახა მყრალი სიტყვა, რომელმაც მთელი დამსწრე საზოგადოება გააწითლა. თვითონ ავტორი დამნაშავე არ არის; ყველას უნდა, რომ თავის ნაწარმოები ბაზარში გაიტანოს, საზოგადოებას აჩვენოს და გაასაღოს. ამ პიესის დადგმა—დიდი დანაშაულია საზოგადოების წინაშე. არ ვიცი, ვისზეა დამოკიდებული საბენეფისო პიესის არჩევა, მობენეფისეზე თუ ამხანაგობაზე? თუ პიესას მობენეფისე ირჩევს, დამნაშავე ქ-ნი გაბუნიაა, თუ ამხანაგობა—ამხანაგობაა და თუ ორივენი ერთად—მაშინ ორივენი ყოფილან დამნაშავენი.

დრამის ამხანაგობა ამ გვარის პიესებით ისედაც დამფრთხალს ქართველ საზოგადოებას სულ მთლად დააფრთხობს და ქართულ თეატრში სიარულს გადააჩვევს. ეს ამხანაგობა ჩვენს თეატრს თითქოს შობის ვარსკვლავად მოევლინა და გვპირდებოდა, «იულიოს კეისარს», ევრიპიდის „მედიასა“ და სულ ამგვარ კლასიკურსა და ახალ-ახალ პიესებს გაჩვენებთო. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, მაგრამ ის კი სამწუხაროა, რომ ეს ცოცხი ძალიან მალე გაცვდა.

ა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

დილის დეპეშები

13 იანვრის.

ბერლინი. მართებლობის კომისია 15 იანვარს წავა იმ ადგილებში, სადაც მუშათა გაფიცვაა, რომ ხელ-ახლად მოელაპარაკოს საქმის გასათავებლად.—იმპერატორი თვით არ დაუხვდა ბულგარიის მთავარს ვაგზალზე, მიანდო დახვედრა თავის ძეს პრინც ეიტელ-ფრიცსა.

ჩერნიგოვი. ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა. ომში გაყვანილ ჯარისკაცთა ოჯახებს მიეცეს თვეში ექვს-ექვსი მანეთი სახლის დასაქირავებლად და გასათბობათ.

პარიჟი. ანჟერში ერთს ფაბრიკაში უბედურება მოხდა, გაწყდა თოკი ასაწევის მაშინისა, რომელსაც მუშები აჰყავდა, გასქდა და 15 მუშა მოკვდა.

პარიჟი. ფოსტის გემმა აცნობა მადაგასკარიდან, კუნძულის სამხრეთ ნაწილში ამბოხება ძალიან გამწვავდაო.—ესპანიის საზღვაო მინისტრი სამსახურს ჩამოეთხოვა.—იაპონიის საზღვაო მინისტრმა გადასწყვიტა შეადგინოს გასაკუთრებითი ესკადრა სპეციალურის სამსახურისათვის.

შანჰაი. გეის ნოტამ ჩინეთის ნეიტრალობის შესახებ გამოიწვია მსჯელობა ჩინეთის სახელმწიფო კაცთა შორის თავიანთის ქვეყნის ყოფა-მდგომარეობაზე. თუ მშვიდობიანობა ჩამოვარდა ჩინეთისათვის არა სასურველ პირობებით, მაშინ ელიან ევროპიელთა ხრიკებსა, რომელსაც მოჰყვება ახალი შესევა ჩინეთში. უფრო ეშინიანთ გერმანიის გაძლიერებისა შანდუნის ნახევარ-კუნძულზე.

პარიჟი. მოწამე ჯორჯ ბიჩინგმა აჩვენა, რანაირად მოქმედებენ სათევზაო გემები თევზის დაჭერის დროს. აუხსნა რა მნიშვნელობა აქვს ნიშნებსა, მაგ., თეთრის ბაირაღის გამოკიდება ნიშნავს ბადეების ამოწევას, წითელი—გადაგდებას. ღამე ბაირაღების მაგივრად იხმარება შუშხუნები.—შეამჩნიეთ თუ არა იაპონელების ან სხვათა გემები? მოწამემ მუგო: „არა“, „იცოდნენ თუ არა მეთევზეებმა სამხედრო შეხების ყოფნა გარეშემოწყლებში?“ „არა“. ღამე, 8 ოკდომბერს, თევზაობდა 35 გემი საზოგადოებისა და 12-ც სხვა ფლოტისა. მოწამემ შეკითხვაზე უპასუხა: ჩუმად ჩაწყობა ნალმებისა და სამხედრო აპარატებისა შეუძლებელია. მოწმემ ტომას კარსმა, სათევზაო ფლოტილიის ვიცე-ადმირალმა, განაცხადა: იმ ღამეს შევნიშნეთ პროჟექტორები და ნიშნები ხუთი-ექვსის სამხედრო გემისა, რომლებმაც შემდეგ სამხრეთისაკენ ჩაიარეს და ყურიც არ ათხოვეს მეთევზეებსა. შემდეგ სამხრეთ-დასავლეთად გაიარეს სხვა გემებმა, რომელთაც უცბად სროლა დაიწყეს. მოწამემ მწვანე შუშხუნა აუშვა მეთევზეთა გასაფრთხილებლად. ტყვიები და ყუმბარები ამის საკუთარ გემის გარშემო ცვიოდა. რამდენიმე ყუმბარა ხიდსაც მოხვდა. მან კვლავ აუშვა შუშხუნა, რომ ეჩვენებინა სამხედრო გემებისათვის, აქ სათევზაო გემებიაო. ინგლისელთა ჩვენების ჩამორთმევა ათ დღემდე გასტანს.

ჰამბურგი. გემს, რომელიც ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოებას ეკუთვნის, მოიხმარებენ წითელის ჯვრისთვის.

თვითონ მას მიჰყავს ისინი ფაბრიკაში, როგორც „მაწანწალა და დამნაშავენი“. გაზეთ „მუშათა ქვეყანაში“ მოყვანილია ერთი მეტად შემაძრწუნებელი ამბავი სამის ახალგაზდა მუშა ქალის შესახებ, რომლებიც გაიქცნენ ბარონ შიბუზავას საქსოვ ქარხნიდგან. ამათ განაცხადეს, რომ მათ ამუშავებდენ მეტად დიდ ხანს, აძლევდენ სულ მცირე ხელფასსა და საძაგელ საჭმელს და, გარდა ამისა, მათ ძალდატანება აიტანეს ოსტატების თანაშემწეებიდგან, რომელნიც ღამე საძილო ოთახში შეპარულიყვნენ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც დაიჭირეს და მიჰგვარეს მათ მოსისხლე მტრებს. იგივე გაზეთი აგვიწერს აუტანელ შრომის პირობებს საქსოვ ფაბრიკებში საიტამას პროვინციაში, სადაც მთავრობამ დაატუსაღა ერთი ფაბრიკის ინსპექტორი და აგრეთვე დედა მისი, რადგან ისინი მეტად უდიერად ექცეოდნენ თავისს 30 მუშა ქალს. ესენი მუშაობდნენ დილის $4\frac{1}{2}$ საათიდგან საღამოს 9 და 10 საათამდის; საჭმელს ისეთს აძლევდნენ, რომ პირში არ ჩაიდებოდა და ამასთანავე ყოველი მუშა-ქალი, რომელიც განსაზღვრულ სამუშაოს არ გაათავებდა, სულ მოკლებული იყო საღამოს მოსვენებას. ხანდახან მომუშავე ქალების მშივრად დაყრა ცოტა სასჯელად ითვლებოდა და საცოდავ ახალგაზრდა ქალებს უწყალო ცემით სჯიდნენ და სრულიად გატიტვლებულთ ქუჩაში აგდებდნენ შუა ზამთარში. ამ ჯოჯოხეთში მომწყვდეული ორი მუშა-ქალი დაბრმავდა იმის გამო, რომ საკმარისად საჭმელი არა ჰქონდათ და ცუდ ჰიგიენურ პირობებში იმყოფებოდნენ. ბევრმა გაქცევა სცადა; ოთხმა ქალმა, რომლებმაც ეს ვერ მოახერხეს, გადაწყვიტეს სიცოცხლე მოესპოთ: ორმა თავი დაიღრჩო და ორიც მატარებელს გაუწვა ქვეშ. ერთი 14 წლის ყმაწვილი მოკვდა ხანგრძლივის სიმშილისა გამო. ერთმა ტოკიოს გავლენიანმა გაზეთმა, მდიდარ ბურჟუაზიის ორგანომ, გამოაქვეყნა ყველა ეს შემაძრწუნებელი ფაქტები, რამაც საზოგადოება დიდ აღელვებაში მოიყვანა და მთავრობა იძულებული შეიქმნა დამნაშავეთა წინააღმდეგ ზომები მიეღო.

სხვა მრავალ ბოროტ-მოქმედებათ კიდევ ზედ ემატება სამუშაო ქირის ჩეკებით მიცემის სისტემა, რომელიც იძულებულ ჰყოფს მუშებს—წაიღონ საქონელი მათის დამქირავებლის დუქნებიდგან თუმცა ნისიად, მაგრამ გაცილებით ძვირად (სულ რომ ცოტა ვსთქვათ—25 პროცენტით ძვირად, ვიდრე სხვაგან). ამის წყალობითვე ჰიანურდება მუშების გასტუმრების ვადაც, რაც, რასაკვირველია, მეტად სასარგებლოა დამქირავებლისათვის, მაგრამ მეტად საზარალოა მუშებისათვის. აქ არ არსებობს კანონი, რომელიც საკმარისად იცავს მუშას საშიშრობისაგან, რომელიც ამა თუ იმ პროფესიას ბუნებრივად თანდაყოლილი აქვს; ამას მეტად მწვავედ გრძნობენ მაღაროებში მომუშავენი. კიუსიუს ნახშირის მაღაროებში მუშაობის პირობები მეტად საშიშია. მოკლულის ოჯახს ეძლევა საჩუქრად სულ დიდი—50 იენი (45 მან.), ხშირად ეს ჯამი ორ იენამდე ადის (1 მან. 80 კ.). უბედურ შემთხვევათა რიცხვი აქ წარმოუდგენლად დიდია: 1903 წელს მიტსუის მაღაროებში, სადაც მუშაობს 10,000 მუშა, მოკლულთა რიცხვი 800-მდე ავიდა. „ეს კიუ-სიუს მაღაროები, სწუხს იაპონელი სოციალისტი კატაიამა, რომლის სიღრმეც 2000 ფუტს უდრის, მეტად მავნებელია ჯანმრთელობისათვის და იქ არავითარ ზომებს არ იღებენ, რომ დაიცვან ჯანმრთელობა და თვით სიცოცხლე მუშებისა. კაცები და მცირე წლოვანი ბავშვები აქ მუშაობენ 12 საათს დღეში; აქ შეგხვდებათ მომუშავე დედები ორი-სამის თვის ბავშვებით ხელში. საბრალო ბავშვი მთელის 12 საათის განმავლობაში მომწყვდეულია უსინათლო და უჰაერო ადგილს და იძულებულია ადრე და მალე დასნეულდეს მავნებელ, ნოტიო ჰაერში“.

არც სახელმწიფო არსენალებშია მოწყობილი უკეთ შრომის პირობები, მეტადრე ტოკიოს არსენალებში; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ხშირია ხოლმე ასობით მუშების დათხოვნა წარმოების შემცირების დროს. მეორე მხრივ მთავრობა უფრო და უფრო მეტ ქალებსა და ბავშვებს ამუშავებს. „სახალხო გაზეთის“ გადმოცემით, ომისგან გამოწვეულ სამუშაოების ასასრულებლად დაქირავებულ იქმნა 800 ქალი 14—45 წლისა დღეში 16-დგან 50 სენამდე (14—47 კ.). ტოკიოს არსენალებში 13,000 მუშაა, რომლიდანაც 2000 ქალია; აქ შრომის პირობები მეტად ანტისანიტარულია.

12 და 16 საათის მუშაობა დახშულ, უსინათლო სახელოსნოებში მეტად აუტანელია და მუშები მსხვერპლად ხდებიან სხვა და სხვა საშიშ ავადმყოფობისა. როგორც კი შეამჩნევენ, რომ ძველი მუშები ჰლექით გახდნენ ავად და საუშაოს ვეღარ ასრულებენ, მაშინვე უმოწყალოდ ითხოვენ, მიუხედავად მათის ხანგრძლივის სამსახურისა. გაზეთი „სოციალისტი“ მოგვითხრობს ერთ ტრაღიკულ ისტორიას, რომელიც შეემთხვა 25 წლის ახალგაზდა მუშას, რომელმაც ბარონ შიბუზავას ხომალდის სახელოსნოებში მარჯვენა ხელი მოიჭრა. ულუკმა-პუროდ დარჩენილი, ცხოვრების ყოველივე სახსარს მოკლებული, ქუჩაზე იქმნა გამოგდებული; სასოწარკვეთილმა და თან გაბოროტებულმა მუშამ ფოსტით გაუგზავნა ბარონ შიბუზავას თავისი მოჭრილი ხელი, და ის კი არ შეატყობინა, თუ რას ნიშნავდა ეს ხელი; მდიდარმა კაპიტალისტმა ასეთის არა ჩვეულებრივისა და არა სასიამოვნო საჩუქრის მიღებისათანავე პოლიციას მიმართა, რომელმაც თავის მხრით აუხსნა ბარონს მისი მნიშვნელობა. შიბუზავას სისასტიკე და გულქვაობა ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ამ ფაქტმა იმასაც მოულბო გული და დასახიჩრებულ მუშას მცირე პენსია დაუნიშნა. ამავე დროს ამ დაზარალებულ მუშის ამხანაგებმა გამართეს მის სასარგებლოდ ხელის მოწერა და 140 მანეთამდე შეუგროვეს. აქ სრულებით არ არსებობს შრომის დამცველი კანონმდებლობა და სწორედ ამიტომაცაა, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაცია ასეთ შეუბრალებელ და შემაძრწუნებელ ფორმებში გამოიხატება.

ზემოდ მოყვანილი ცნობები მხოლოდ დაახლოვებით გვაცნობებს, თუ რა ტანჯვაში იმყოფება იაპონიის პროლეტარიატი. მაგრამ არსებობს ერთი კატეგორია იაპონელ მუშებისა, რომლების ტანჯვა და დაბეჩავება აუწერელია; ესენი არიან—გადამზიდავები, რომელთა რიცხვი მარტო ტოკიოში 60.000 კაცს უდრის და მათის დღეშივე მყოფი ოსაკოს მენავეები, რიცხვით 15—20 ათასამდე. ტოკიოს გადამზიდავები მიჩვეულნი იყვნენ სულ მცირე სამუშაო ქირას, ცხოვრობდნენ ვიწრო და ბნელ სარდაფებში და, ასე თუ ისე, კიდევ იოლად გამოდიოდნენ, ე. ი. ნახევრად მშივრულად ცხოვრობდნენ, სანამ ცხენის ტრამვაები ძვირიც იყო და მძიმედ მოძრავიც! ახლა კი ამის მაგიერ ელექტრონის ტრამვაია შემოღებული, რომლის გაიაფებულმა ტარიფმაც მეტად საგრძნობლად დასწია მათი ისედაც მცირე ხელფასი და რამდენიმე ათი ათასი მუშა ულუკმა პუროდ დაყარა. 30,000 კაცს არა აქვს არავითარი სამუშაო და სახსარი ცხოვრებისა. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ ოსაკაში, სადაც მენავეებს სულ წაერთვათ სამუშაო იმის წყალობით, რომ ორთქლმავალი იქმნა შემოღებული. 1903 წელს ივლისში ამათ მეტად ძლიერი დემონსტრაციები გამართეს, რომლის დროსაც აპირობდნენ ყველა ხომალდების განადგურებას, მაგრამ ეს მოძრაობა უწყალო ზომებით იქმნა მოსპობილი.

ორი სიტყვაც პოლიტიკურ წყობილებაზე: „ამომავალ მზის იმპერიაში“ ნახევრად კონსტიტუციონური რეჟიმია, რომელიც სრულებით ვერ შეედრება ინგლისისას ან ბელგიისას, მაგრამ ბევრით არაფრით ჩამოუვარდება გერმანიისას, ზოგიერთ შემთხვევებში კიდეც სჯობია გერმანიის რეჟიმს, რადგანაც მიკადო არ იჩენს ვილჰელმ მეორის ქინიანობას და პარტიათა ბრძოლაში წარამარად არ ერევა. კონსტიტუციამ, რომელიც დამყარდა 1889 წელს, შემოიღო პარლამენტი, ორის პალატისაგან შემდგარი; წარმომადგენელთა პალატის ამორჩევაში მონაწილეობას იღებს ყველა 25 წლის მოქალაქე, რომელიც (1900 წლიდგან) წლიურად იხდის 10 იენს (9 მ. 25 კ.). ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 700,000, მაშასადამე, დიდი უმეტესობა მცხოვრებლებისა მოკლებულია ამომრჩევლის უფლებას, რადგან 25 წლის ასაკოვან იაპონელთა რიცხვი 16 მილიონს უდრის. მეფის უფლებაც აქ თავისებურია. თუმცა სიტყვით ის მზის ჩამომავალია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტოკიოს პარლამენტი ხშირად ატანს ძალას და მინისტრებს მისის სურვილის წინააღმდეგ აცელევინებს.

მანტარელი

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის კრებაზე, რომელიც 11 იანვარს იყო, მსჯელობდნენ იმაზე, თუ რაგვარად აასრულონ უმაღლეს 12 დეკემბერს 1904 წ. გამოცემულ ბრძანების მეხუთე მუხლი, რომელიც შეეხება სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საზოგადო მშვიდობიანობის დებულების გადასინჯვას.

ხარკოვი. გუბერნიის ერობის კრებამ დაადგინა გადასდოს 1905 წ. სკოლებისათვის 270 ათასი მანეთი და იშუამდგომლოს, რომ ხარკოვში დაარსდეს უნივერსიტეტის მინავვარი უმაღლესი კურსები ქალთათვის.

ბაქო. რკინის გზა კიდევ ამონმქრა თოვლმა. 11 იანვარს ფოსტის მატარებელი გაიჩერა ნამქერმა ეიბათსა და პუტას შუა. თუმცა რკინის გზის მთავრობამ გააფთხილა, მაგრამ მატარებლები მაინც ყოველ დღე მოდის ბალაჯარას, სადაც რჩებიან. ბალაჯარში სურსათი შემოაკლდათ. ზოგნი მგზავრნი, რომელნიც სამი დღე ელოდნენ გზის გახსნას, დღეს ფეხით წავიდნენ ქალაქს. რაკი ვერა მოუხერხეს რა, გზის გაწმენდას თავი გაანებეს.

ტოკიო. ავსტრიის გემი „პალმა“, რომელსაც მიჰქონდა ვლადივოსტოკს 4 ათასი ტონი ნახშირი, ხაკოდატეს მახლობლად დაიჭირეს.—19 იანვარს წავა ტოგო ესკადრასთან,

საღამოს დეპეშები

13 იანვრისა.

პეტერბურგი. 13 იანვარს ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან არ მოგვსვლია.—13 იანვარს მუშათა ერთმა ნაწილმა სატახტო-ქალაქის ფაბრიკებში მუშაობა დაიწყო. საიმპერატორო თეატრებში და კერძო ეცენებზე წარმოდგენა ჩვეულებრივად შესრულდა. აღდგენილი წესიერება მთელის დღეს არ შერყეულა.

რატიბორი. ბულგარიის მთავარი ფერდინანდი გერმანიის საზღვარზე მივიდა, მაგრამ ბერლინს აღარ წავიდა პრინც ეიტელ-ფრიდრიხის ავადმყოფობისა გამო.

პარიჟი. სენატის მარცხენა დემოკრატიულმა დასმა კომბი აირჩია პრეზიდენტად.—ესპანიის კაბინეტი აცაგარისა სამსახურიდან გადადგა. მეფემ ვილავერდს მიანდო ახალ სამინისტროს შედგენა.

სტამბოლი. მაკედონიის სამის ვილაიეტისათვის გაიგზავნა 60 ათასი ახალი თოფი მაუზერისა, და 20 ათასი სკივრი პატრონა. რკინის გზის მართველობას უბძანეს მზადა ჰქონდეს 100 ვაგონი გადასაზიდათ ბულგარიის საზღვრიდან სამხედრო საჭიროებისათვის.

სოფია. ბოლგარიის მთავარი, რომელიც წავიდა ბერლინს, რომ იმპერატორი ვილჰელმიი ენახა, აღარ წავიდა დაბადების დღესასწაულის გამო. ამბავი მოვიდა, ნახვა გაიდადო იმპერატორის შვილის ავადმყოფობისა გამოო. აქ გადადების მიზეზს ვერ მიმხვდარან.

ბელგრადი. აქ ყველას ყურადღება მიიაქცია შეტაკებამ პაშიჩსა და ბალუჯიჩის შორის. ეს უკანასკნელი მდივნად იყო და დაითხოვეს იმისთვის, რომ გადასცა «ნოი ფრეიე პრესსეს“ მეფის ბაასი ბულგარიის მთავართან. ბალუჯიჩი ებრძვის პაშიჩსა და უმტკიცებს, იარაღი სერბიისათვის უნდა შევიძინოთ ავსტრიისაგან და არა საფრანგეთისაგანაო.

ტოკიო. პორტ-არტურში დავლად აღებულ ზარბაზნებისაგან მხოლოდ ასია გაფუჭებული. იაპონელები კიდეც შეუდგნენ სამხედრო გემების ამოღებასა და ფორტების განახლებას. სასებოს გზავნიან ნაღმოსანს «რეშიტელნის». რუსის ტყვე გენერლები და ადმირალები მშვენიერს ტაძარში დააბინავეს ნიგოისში. ეს ტაძარი ერთ დროს იმპერატორის სადგომი იყო. თვითოეული აფიცერი სადილში აძლევს ხუთ იენს, სადილს უგზავნიან სასტუმროდან. მთავრობა აძლევს არაყსა და შამპანიურს.

ჩიფუ (საკ. კორესპ.). პორტ-არტურის კაპიტულიაციის პირობებში არ არის შემუშავებული კერძო კაცთა უფლებანი და იმათ საკუთრების ავკარგი.—„ნოვი კრაი“ იძულებულია შეაყენოს გამოცემა.

ტოკიო. 13 იანვარი. რუსის მარჯვენა ფრთაზე ცხენოსანმა რაზმმა ზარბაზნებით სატევი მოქმედება იწყო. შედეგი არ იციან. შებრძოლება უეჭველად იქნებოდა.

ბუდაპეშტი. რამდენჯერმე მომხდარ უწესოებისა გამო, რომელიც გამოიწვია მთავრობის და ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბუდაპეშტში, პროვინციაში დასჭირდათ ჯარის დახმარება. ღლისით გაიგეს 74 კაცის არჩევა, ამათგან 38 მართებლობის დასის კანდიდატია, 36 ოპოზიციისა.

ბუდაპეშტი. მოხდა 380 არჩევანი, აქედან 114 ლიბერალია და 113 კოშუტის დასისა, დანარჩენნი სხვა და სხვა ოპოზიციის დასებისა. ამ რიგად, ტისსა სრულიად დამარცხდა.

ვენა ციფულის ქვანახშირის მადნებში დასავლეთ მხარეს უბედურება მოჰხდა. ერთ ალაგას გაზი აფეთქდა. დაწვრილებითი ამბავი ჯერ არ იციან. ჯერჯერობით ოთხი გვამი იპოვეს.

დილის დეპეშები

14 იანვრისა.

პეტერბურგი. ოფიციალური. გენ. კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფისადმი: 1) 12 იანვრის თარიღით: «12 იანვარს ჩვენს მარჯვენა ფრთეზედ დაიწყო სატევი მოქმედება მტრის პოზიციების წინააღმდეგ. დილით 16 გრადუსი ყინვა იყო“. 2) „ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს ცნობა მივიღე, რომ ჩვენებს აუღიათ სოფლები ხაიდატოზა და ხეიტოუტაია; უკანასკნელი 7 ვერსის ვანძილზეა სანდეპუდგან სამხრეთ-დასავლეთით“. 3) 13 იანვრის თარიღით: „სოფ. ხაიდატოზასა და ხეიტოუტაიაზედ იერიშის მიტანის დროს რა ზარალი მოგვივიდა, ამაზედ ნამდვილი ცნობები ჯერ არ მიმიღია. სოფ. ხაიდატოზა სვენებმა აიღეს გათენებისას ისე, რომ თოფი არ უსვრიათ. ამ სოფელში მყოფი იაპონელები ხიშტებზედ ააგეს. სოფ. ხეიტოუტაიას იაპონელნი თავგამოდებით იცავდნენ, მაგრამ საღამოს 10 საათზედ მაინც საბოლოოდ ავიღეთ. ჩვენი ცხენოსნები გუშინ შეეხჩნენ მტრის ორ დარგუნის პოლკს, რომელმაც საჩქაროდ დაიწია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჩვენის ლაშქრის მარცხენა ფრთეზედ ერთმა რაზმმა, რომელიც გუშინ 6 ვერსის მანძილზედ წავიდა ხუაიჟენსიანიდგან სამხრეთისაკენ, განდევნა მტერი და ისევ აიღო უღელტეხილი ხუაიჟენსიანისა და ერფამძიანის გზის გაყოლებაზედ. მეორე რაზმმა შეუტია მტრის იმ ფრთეს, რომელიც ცინხოჩენის პირდაპირ იდგა, და იაპონელთა მოწინავე რაზმს უკან დაახევინა. ამ დროს ჩვენებმა ხელთ იდეს 200 სული მსხვილ-ფეხა საქონელი. ამას უქვეშევრდომილესად მოახსენებთ, თქვენო უდიდებულესობავ“.

ტოკიო, 12 იანვარი. მთავრობამ გადასწყვიტა გააძლიეროს სახღვაო ძალა. დაუყოვებლივ შეუდგებიან დიდს ჯავშნიან გემის აშენებას, რომელსაც 19,000 ტონნა წყალ-რწყვა ექმნება. უნდა ააგონ აგრედვე დაუყოვნებლივ ორი კრეისერი. ყველა გემი ძლიერად იქნება შეიარაღებული. შესამჩნევად გააძლიერებენ ნაღმოსნებისა და კონტ-ნაღმოსნების ფლოტილიას. წელს მოიტანენ 15 წყალ-ქვეშ მავალ ნავს. ამას წინად დაიწყეს მოლაპარაკება ჩილის მთავრობასთან ერთის კრეისერის ყიდვის შესახებ. ამ გემისთვის დანიშნული ეკიპაჟი გაემგზავრა იაპონიიდგან. ყველა ამ მზადებას საიდუმლოდ ინახავენ. ფლოტის დაზიანებულ გემების შეკეთება დაამთავრეს გასულის წლის 12 დეკემბერს. სამი კრეისერი ადმირალ სიმამურას უფროსობით იმყოფება კუნძულ ბორნეოს მიდამოებში. კრეისერების ესკადრა სამხრეთისაკენ მიდის. რადგანაც ადმირალი ტოგო ახლა ავადაა, ჯავშნიანი გემები გაჰყვებიან კამიმურას უფროსობით მიმავალ კრეისერებს. სამი კრეისერი პირველ რანგისა დათარეშობს სანგარის სრუტესთან. სამი ჯავშან-გადაუკვრელი კრეისერი და ჩინეთის ნაქონი ჯავშნიანი გემი, როგორც საადმირალო ხომალდი, იცავს ცუსიმას სრუტეს.

მოელიან ვლადივოსტოკის ალყის გამოცხადებას.

ფორმოზაზედ გადმოსვეს ჯარები და სიმაგრეებს აძლიერებენ.

ერთი კრეისერი მე-2 რანგისა, როგორცა სჩანს, დაღუპულა.

იაპონიის მეხუთე ლაშქარს, რომელიც ახლა უნდა შეადგინონ, ჩააბარებენ გენერალ კამიმურას.

გენერალ ნოგის მთელი ლაშქარი ამ თვის გასულს შეუერთდება მარშალ ოიამას. ეს ჯარები, ცოტა შესვენების მეოხებით, ძლიერ კარგს გუნებაზედ არიან.

სასებოში ქსენონებს აშენებენ.

ტოკიოში 30,000 დაჭრილი მეომარია, მომეტებული ნაწილი პორტ-არტურიდგანაა.

ნოგის ლაშქრის შტაბის უფროსი აცხადებს, რომ იაპონელებს „ვისოკაია გორის“ აღების დროს 25,000 მეომარი დააკლდათ, მოკლული და დაჭრილიო.

პეტერბურგი. დღეს უმართებელესმა სენატმა განიხილა სახალინის სატუსაღოს მეთვალყურის ფელდმანის საჩივარი, რომელიც რუსის ცნობილ პუბლიცისტს ვ. დოროშევიჩს უჩიოდა ბეჭვდითი სიტყვით ცილის წამებას. ამ საქმემ თავის დროზედ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჟურნალ-გაზეთობაში. ოლქის სასამართლომ და პალატამ გაამართლა დოროშევიჩი. სენატმა ფელდმანის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

პეტერბურგი. ოფიციალური. გენ. კუროპატკინი მის დეპეშების უდიდებულესობის სახელობაზედ: 1) 13 იანვრის თარიღით: „12 იანვარს მოსულ ცნობებიდგან გამოირკვა, რომ სოფელ ხეიგოუტაის ასაღებად ჩვენს ჯარს მედგარი ბრძოლა მოუხდა. ამ სოფელთან გამაგრებული პოზიციები ღამის 11 საათზედ ავიღეთ. ხუალატოვისა, ტუტაძისა და ხეიგოუტაის აღების დროს ასამდე იაპონელი დავატყვევეთ. აგრეთვე ავიღეთ სოფელი ჩიტაიძე ხუნხეზე. ამ სოფლის აღება 50 კაცად დაგვიჯდა. დღეს, 13 იანვარს, ჩვენი ჯარი წინ, სანდეპუსაკენ იწევს. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მოგვსვლია, გარდა იერიშისა. სახეპუდგან. იაპონელთა იერიში მოვიგერეთ. $4^{1}/_{2}$ საათზე იაპონელები სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სანდეპუსაკენ წამოვიდნენ“. 2) 14 იანვრის თარიღით: „ღამე ცნობა მომივიდა, რომ იაპონელთა კონტრ-იერიში სანდეპუსთან მოვიგერეთ. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ამ იერიშის მოგერებაში მონაწილეობა მიიღო. საღამოს 7 საათზე, მედგარ ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა საპიორების დახმარებით ყველა დაბრკოლებას სძლია და ძლიერ გამაგრებულ სოფელ სანდეპუში შევიდა“.

15 იანვარი.

შანჰაი. 13 იანვარს ნამდვილ წყაროებიდგან იუწყებიან, რომ გერმანიამ ჩინეთს სთხოვა, ჩინამპოში ცინდაოს რკინის გზის დამცველ ჯარისათვის ყაზარმები ამაშენებინეო. შანჰაის გუბერნატორმა უარი უთხრა. გუბერნატორმა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შეატყობინა, გერმანიამ დამცველ ჯარის რიცხვი გაადიდაო და ამასთან სთხოვა, შემატყობინეთ, როგორ მოვიქცეო.

ბერლინი. მუკდენიდან იუწყებიან, გუშინ საერთო ბრძოლა დაიწყოო. ზარალი დიდია. ორთავე ლაშქარის შუბლს გაცხარებული ბრძოლა აქვთ.

პარიჟი. ამბობენ, გენერალმა კუროპატკინმა მარშალ ოიამასთან მოლაპარაკება დაიწყოო.

საღამოს დეპეშები.

15 იანვრისა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა—აეკრძალოს გაზეთ „რუსკია ვედმოსტი“-ს ცალკე ნომრების გაყიდვა და „სარატოვსკი დნევნიკი“-ს კერძო განცხადებების ბეჭვდა სამის თვით.—პეტერბურგში ყველა გაზეთი გამოვიდა.

ტოკიო, 14 იანვარი. გუშინდელი ცნობა შახეზე მომხდარ ბრძოლის შესახებ მხოლოდ მოდარაჯე რაზმთა შეტაკება ყოფილა. რუსების მარჯვენა ფრთაზე ბრძოლა ეხლაც არის.

შანჰაი. იაპონიის ფლოტმა ვლადივოსტოკს ნამდვილი ალყა შემოარტყა, რათაც იმით მტკიცდება, რომ იაპონელებმა უკანასკნელ ხანში ბევრი სავაჭრო გემი დაიჭირეს.

ტოკიო. საქმის კარგად მცოდნენი ამბობენ, რომ პორტ-არტურში ჩაძირულ გემების ამოღება, შეკეთება და შეიარაღება შეიძლება, გარდა „სევასტოპოლ-“ისა და „ბაიან“-ისა. თითო გემზედ უნდა დაიხარჯოს სულ ბევრი, ბევრი—200.000 გირვანქა სტერლინგი.

ვენა. ჰუნგერთში, არჩევნების შედეგი ვენელებს ძლიერ აღელვებს. ტისსა მიდის ვენაში, რათა სამსახურიდგან გადადგეს. ხმა დადის, რეიხსტაგის გახსნამდე ტისა ისევ თავის ალაგას დარჩებაო.

პარიჟი. (საკუთ. კორ.). ინგლისის საელჩომ უარჰყო ის ხმა, ვითომ პეტერბურგში მომხდარ მუშათა უწესოებაში ინგლისს არავითარი წილი არ მიუძღვისო, მაგრამ განცხადება აქ არა სჯერათ. ამის შესახებ მთავრობაზე იჭვი არავისაც არ შეუტანია, მაგრამ ინგლისის მთავრობა თავდებად ვე დაუდგება თავის ქვეშევრდომთ, რომელნიც იაპონიის გულის მოსაგებად მუშების ასაღელვებლად მოქმედებდნენ. ინგლისის მთავრობა არც მაშინ იქნება დამნაშავე თუ აღმოჩნდა, რომ ინგლისელი მეთევზენი იაპონელთა ნაღმოსნებს მალავდნენ. ამბობენ, იაპონიის საქმე ცუდად არის, რადგან იმათ უკანასკნელ ხერხს მიმართეს და რუსეთში აჯანყების მოხდენა მოინდომეს

პეტერბურგი. გენ. ლეიტ. სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბის სახელობაზედ 14 იანვრის თარიღით: „14 იანვარს ჩვენი ჯარი იერიშით მოდიოდა სოფელ სანდაპუზე. არტილერია ჩრდილოეთიდანა და დასავლეთიდან ამ სოფელში აშენებულს, ძლიერს სანგარს ყუმბარას უშენდა და მისი დანგრევა უნდოდა, მაგრამ სანგარი მაინც ისევ იაპონელებს დარჩათ. 13 იანვარს ჩვენი ცხენოსანი ჯარი ხუნხეს გავიდა და სანდეპუდან 10 ვერსის მანძილზე სამხრეთით შეხვდა იაპონელთა რაზმს—4 ბატალიონსა და 6 ესკადრონს. იაპონელებმა ბრძოლის შემდეგ უკან დაიწიეს და დაჰყარეს მოკლულნი, დაჭრილნი, იარაღი და სამხედრო მასალა. ჩვენ დავატყვევეთ 30 კაცი. ჩიტაიძისა და მამიკაის აღების დროს დავატყვევეთ 20 კაცი.

დროებით რედაქტორი **გრ ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა

14 იანვარს 1905 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	$37,72^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$6—7^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$88^{3}/_{4}$ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	[illegible]
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	$403^{1}/_{2}$ წვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$326^{1}/_{4}$
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	$267^{1}/_{2}$
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
$4^{1}/_{2}$% ტფილ სადგ. მამ. ბანკის. გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანგისა . .	—
6% ქუთ. საად.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გარავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

საავადმყოფოები.

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო—მიხ ილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთ ოთახში—12 მან., ცალკე ოთახში—60 მან. თვე

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქუ სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარ თათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკუ ნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილება

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ- როვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მე ქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ე გაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბე მანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სა თულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩე სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობ აღმასრულებელი ექიმი-ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავა მყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბო სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლ ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ის მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის სო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშესაფა სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახ მელიქიანცისა.
2) დიდუბეში,—სახლი გოლდლიუსტისა.

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში
„ქართველ ქალთა წრის“ მიერ გამოცემული

„ზღაპრები“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვი მეტი ხახური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღი 1 მანეთად 30 კაპ.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედ გოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მო წერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზ დილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივან ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კ ცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატ რებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაასებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალ გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერად წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნ და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქ სამოსწავლო საბჭოებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარე გაგზავნით 5 მან., ნახევარის წლით 2 მან. 50 კ., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцов ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. у № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журна „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 января, 1905 г.
Тип. „ТРУДЪ“ Фрейлинская № [illegible]